

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოქმედი დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე, რადგან სტუდენტს საშუალება თუ ექნება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილება, გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება მათ სასწავლო საქმიანობასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43. სტუდენტის უფლებები, შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს ხარისხიანი განათლება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; პერიოდულად მოახდინოს სადოქტორო პროგრამის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება; მიაწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ორგანოს საკუთარი მოსაზრებები, ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში და სხვ.;

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით, სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა (საუნივერსიტეტო გარემოთი და სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილებასთან დაკავშირებით დოქტორანტების კვლევა). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების: ქართული ფილოლოგიის, ეკონომიკის, ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების მონაწილეობით Google-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა ჩატარდა 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს.

კვლევა ითვალისწინებდა:

- ა) ინსტიტუციური ხასიათის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ პროგრამითა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობის კმაყოფილებას).
- ბ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;
- გ) ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;
- დ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.
- ე) კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი სადოქტორო პროგრამები:

- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა;
- აგრონომიის სადოქტორო პროგრამა;
- ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა;

დოქტორანტების კმაყოფილების კვლევის ანალიზი

დოქტორანტების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა შვიდი დოქტორანტი. კვლევის თითოეულ დებულებას დოქტორანტების მხრიდან გაეცა შემდეგი პასუხები (ზოგიერთი კითხვის შემთხვევაში დოქტორანტს შეეძლო დაეფიქსირებინა ერთი ან რამდენიმე პასუხი, ანუ მოენიშნა ყველა შესაბამისი ველი):

1. **სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია** (მონიშნეთ ყველა შესაბამისი ველი).

- სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა, უპასუხა 57,1 %-მა.
- კარიერაში წინსვლის მეტი შესაძლებლობა, უპასუხა 85,7 %-მა.
- შემოსავლების გაუმჯობესება, უპასუხა 28,6 %-მა.
- პრესტიჟი უპასუხა, 14,3 %-მა.
- და სხვ.

კითხვაზე: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია დოქტორანტებს გაცემული აქვთ ყველა ის პასუხი, რომლითაც იკვეთება მიზანდასახულობა კონკრეტული სადოქტორო პროგრამის მიმართ, რამ განაპირობა მათი არჩევანი. კერძოდ, დოქტორანტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს არის კარიერაში წინსვლის მეტი შესაძლებლობა (უპასუხა 85,7 %-მა), სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა (უპასუხა 57,1%-მა), შემოსავლების გაუმჯობესება (უპასუხა 28,6 %-მა), ხოლო პრესტიჟის საკითხი წარმოაჩინა 14,3%-მა.

2. **რატომ შეარჩიეთ აღნიშნული სადოქტორო პროგრამა** (მონიშნეთ ყველა შესაბამისი ველი).

- სწავლების მაღალი ხარისხი, უპასუხა 28,6 %-მა.
- ამავე უნივერსიტეტში დავასრულე ბაკალავრიატი და/ან მაგისტრატურა, უპასუხა 85,7 %-მა.
- მხოლოდ აქ ისწავლება ეს სპეციალობა, სადაც დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღება შეიძლება
- ეს სპეციალობა სხვა უნივერსიტეტშიც ისწავლება, მაგრამ აქ სწავლა შედარებით ხელმისაწვდომია, უპასუხა 71,4 %-მა.

კითხვაზე: რატომ შეარჩიეთ აღნიშნული სადოქტორო პროგრამა? დოქტორანტებს გაცემული აქვთ ყველა ის პასუხი, რომლითაც ცალსახად იკვეთება სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლება-სწავლის პროცესით კმაყოფილება, რადგან დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილი პასუხობს, რომ ამავე უნივერსიტეტში დაასრულა ბაკალავრიატი და/ან მაგისტრატურა (უპასუხა 85,7%-მა). კვლევისას გამოიკვეთა პოზიცია, რომ პროგრამაზე, რომელზეც დოქტორანტი სწავლობს სხვა უნივერსიტეტშიც ისწავლება, მაგრამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლება შედარებით ხელმისაწვდომია (უპასუხა 71,4 %-მა). სწავლების მაღალი ხარისხით კმაყოფილია გარკვეული რაოდენობა (28,6 %).

3. კმაყოფილი ხართ თუ არა სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების ორგანიზების ხარისხით?

(თითო მწკრივში მხოლოდ ერთი ოვალის მონიშვნა).

- დიახ, უპასუხა 100%-მა.
- მეტწილად
- ნაწილობრივ

კითხვაზე: კმაყოფილი ხართ თუ არა სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების ორგანიზების ხარისხით? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა კმაყოფილება (დიახ, უპასუხა 100%-მა), რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგნმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რომელიც გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია პროგრამით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის (ინფორმაცია თითოეული პროგრამის შესახებ აღწერილია უნივერსიტეტის კატალოგში და განთავსებულია ვებგვერდზე. გარდა აღნიშნულისა, კონკურსანტთა მისაღები გამოცდები ტარდება ორგანიზებულად, დაცულია პროგრამაზე მიღების წინაპირობები თანმიმდევრულად, ეტაპების შესაბამისად უცხოური/ქართული ენის B2 ცოდნის დონის დადგენა, სადოქტორო განაცხადის განხილვა და სპეციალობის გამოცდა.

4. შეძელით თქვენს მიერ კვლევის პროცესში მიღებული შედეგების ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე წარდგენა?

- დიახ, უპასუხა 28,6 %-მა.
- მომზადების პროცესში ვარ, უპასუხა 71,4 %-მა.
- ვერ შევძელი

კითხვაზე: შეძელით თქვენს მიერ კვლევის პროცესში მიღებული შედეგების ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე წარდგენა? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა (დიახ, უპასუხა 28,6 %-მა, მომზადების პროცესში ვარ, უპასუხა 71,4 %-მა) დაადასტურა საკუთარი კვლევის შედეგების ეროვნულ ან/და საერთაშორისო სივრცეში, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე მონაწილეობა ან მზადება. აღნიშნულ საკითხებზე დოქტორანტებს კონსულტაციებს უწევენ საამეცნიერო ხელმძღვანელები და ეს მათი მოვალეობაც არის. უარყოფითი პასუხი არ დაფიქსირებულა.

5. იცნობთ თუ არა პროგრამას, რომელზეც სწავლობთ (მონიშნეთ მხოლოდ ერთი ოვალი)?

- დიახ, უპასუხა 100 %-მა.
- მეტწილად
- ნაწილობრივ

კითხვაზე: იცნობთ თუ არა პროგრამას, რომელზეც სწავლობთ? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - დიახ (უპასუხა 100 %-მა), რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგნმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამის სტრუქტურა. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. დოქტორანტი, საკვლევი თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სამეცნიერო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

6. პროგრამის გეგმა (კურიკულუმი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს (მონიშნეთ მხოლოდ ერთი ოვალი)?

- დიახ, უპასუხა 100 %-მა.
- მეტწილად
- ნაწილობრივ

კითხვაზე: პროგრამის გეგმა (კურიკულუმი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - დიახ (უპასუხა 100 %-მა), რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგნმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კურიკულუმის სტრუქტურა, სწავლის მიზნები და შედეგები. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელსაც დოქტორანტი ასრულებს დისერტაციის დასრულებამდე, მოიცავს თანმიმდევრულ ეტაპებს, რომ სტუდენტმა დოქტორანტურაში სწავლება/სწავლის 3 წლის მანძილზე შეძლოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

7. შეგიჩერებიათ თუ არა სტუდენტის სტატუსი?

- დიახ, უპასუხა 42,9 %-მა.
- არა, უპასუხა 57,1 %-მა.

კითხვაზე: შეგიჩერებიათ თუ არა სტუდენტის სტატუსი? დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ სამმა დოქტორანტმა (დიახ, უპასუხა 42,9 %-მა).

8. რა გამხდარა სტატუსის შეჩერების მიზეზი? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა) შეკითხვას უპასუხეთ მხოლოდ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში.

- სასწავლო კომპონენტის დატვირთული გრაფიკი
- დოქტორანტისადმი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში წაყენებული მაღალი მოთხოვნები შინაარსობრივი / შეფასების თვალსაზრისით

- კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი ტექნიკური სირთულეები, უპასუხა 66,7%-მა.
- კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი შინაარსობრივი სირთულეები, უპასუხა 33,3%-მა.
- ჯანმრთელობის მდომარეობა
- ოჯახური მდგომარეობა, უპასუხა 33,3%-მა.
- ფინანსური პრობლემები
- სხვ.

კითხვაზე: რა გამხდარა სტატუსის შეჩერების მიზეზი? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებმა გასცეს შემდეგი პასუხები: კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი ტექნიკური სირთულეები (უპასუხა 66,7%-მა), კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი შინაარსობრივი სირთულეები (უპასუხა 33,3%-მა), ოჯახური მდგომარეობა (უპასუხა 33,3%-მა). აღნიშნული შედეგები რეაგირებისათვის გასაცნობად გაეგზავნება სადოქტორო პროგრამებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელებს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსანტი შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვამდე საკონკურსო კომისიის წინაშე წარმოადგენს სადოქტორო საკონკურსო განაცხადს, რომელშიც მას უკვე მითითებული აქვს კვლევის მიმართულება და გარკვეული მონახაზი საკვლევ თემასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მოსალოდნელი სირთულეების იდენტიფიცირება მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო).

9. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ადეკვატურია?

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4 %-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 28,6 %-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ადეკვატურია? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 28,6%-მა, რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის განსაზღვრული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

10. სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია

- სრულიად ვეთანხმები. უპასუხა 42,9 %-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 57,1 %-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა, რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის განსაზღვრული სასწავლო კომპონენტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, აგრეთვე გათვალისწინებული პროფესორის ასისტენტობა და სადოქტორო სემინარი (ჯამურად არაუმეტეს 60 კრედიტისა).

11. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები პროგრამის მიზნების შესაბამისია (რელევანტურია)

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4 %-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 28,6 %-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები პროგრამის მიზნების შესაბამისია (რელევანტურია)? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4 %-მა, ვეთანხმები, უპასუხა 28,6 %-მა, რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას გაწერილი აქვს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, მის შესაბამისად კი - სასწავლო კურსის სწავლის შედეგების წილობრივი შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან.

12. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური (მათ შორის, თანამედროვე) ლიტერატურა

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 85,7%-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 14,3%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

13. კითხვაზე: სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური (მათ შორის, თანამედროვე) ლიტერატურა? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 85,7%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 14,63%-მა, მოსალოდნელი იყო სწორედ ასეთი პასუხი, რადგან თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებულია როგორც კლასიკური ლიტერატურა, ასევე უახლესი სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, კვლევები, შესაბამისი დარგის მეცნიერული მიღწევები და სიახლეები.

14. სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4%-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 28,6%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

15. **კითხვაზე: სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია?** კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 28,6%-მა, რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებს, აგრეთვე პროფესორის ასისტენტობასა და სადოქტორო სემინარს გაწერილი აქვს შეფასების სისტემა, რომელიც ასახულია სილაბუსებში, პროფესორის ასისტენტობისა და სადოქტორო სემინარის ინსტრუქციებში, რაც თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი და ცნობილია.

16. **სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს**

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 42,9 %-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 57,1 %-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა. კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ: შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სამეცნიერო ცენტრებში, სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში; საგანმანათლებლო დაწესებულებებში; შესაბამის სახელმწიფო უწყებებში; დაიკავოს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულებათა სამტატო ნომენკლატურით. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს დოქტორის მომზადებას როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო მიმართულებით. სტუდენტთა დადებითი პასუხები მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები.

17. **სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებით და სხვა რესურსებით)**

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები

- არ ვეთანხმები

კითხვაზე: სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებით და სხვა რესურსებით)? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა. უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერები, პილოტირების რეჟიმში მზადდება ელექტრონული რესურსი, რისთვისაც გაძლიერდა ელექტრონული სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზა. პილოტირების წარმატების შემთხვევაში შედეგები დაინერგება. უნივერსიტეტს თითოეული პროგამის განვითარებისთვის განსაზღვრული აქვს ბიუჯეტი და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებას.

18. ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 85,7 %-მა.
- ვეთანხმები უპასუხა, 14,1 3-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 85,7%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 14,3%-მა. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ წელს, კადემიური პერსონალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის ერთი წლის მუშაობის ანგარიშს და თვითშეფასების ფორმას. ხარისხის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების შესწავლა და ანგარიშის მომზადება. სტუდენტების მხრიდან გამოკვეთილი პოზიცია ნამდვილად შეესაბამება აკადემიური/მოწვეული პერსონალის კომპეტენციებს.

19. უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომია

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა.
- ვეთანხმები უპასუხა, 42,9%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომია? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა. აღნიშნული პასუხები სავსებით მისაღებია, რადგან უნივერსიტეტის

სამეცნიერო ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, ასევე არის საერთაშორისო სამეცნიერო საგამომცემლო სახლის ელსევიერის კონსორციუმის წევრი, შპს „ელსევიერთან (Elsevier B.V.) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტს აქვს უფლება მოიძიოს და გამოიყენოს ScienceDirect@onlain სამეცნიერო სტატიები 3,500 -ზე მეტი ჟურნალიდან და 34,000-ზე მეტი წიგნი. Scopus@onlain პლატფორმით სარგებლობისას შესაძლებელია მოვიძიოთ სამეცნიერო სტატიები რეფერირებადი ჟურნალებიდან, 113,000 ელექტრონული წიგნი, 27 მლნ. საერთაშორისო პატენტი. შესაძლებელია ცალკეული მეცნიერის, კვლევითი ცენტრისა და უნივერსიტეტის პუბლიკაციების რაოდენობის, ციტირებისა და H ინდექსების გამოთვლა. სამცხე-ჯავახეთის სახლმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ეძლევა უფლება მიიღოს მონაწილეობა პროექტში "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIF

2017 წლიდან ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 -თან გაფორმებული ხელშეკრულება № 2017/20 საფუძველზე შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ელექტრონული რესურსები:

Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)

BioOne Complete (<http://www.bioone.org/>)

e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>)

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>)

IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche>)

New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org/>)

Openedition Journals (<http://www.openedition.org/>)

Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)

SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier>).

20. კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია (ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა რესურსები)

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა.
- ვეთანხმები უპასუხა, 42,9%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები უპასუხა 14,2%-მა.
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: კვლევის პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებით და სხვა რესურსებით)? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა. უნივერსიტეტს თითოეული პროგრამის განვითარებისთვის განსაზღვრული აქვს ბიუჯეტი და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ განვითარებას. ამასთანავე, თითოეული პროგრამის ფარგლებში პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები (ხშირ შემთხვევაში,

აფილირებული ხელშეკრულება), რომელიც ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში, უნივერსიტეტის მიმართ, ობიექტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. უნივერსიტეტის მხრიდან დოქტორანტებისთვის შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, მით უმეტეს, უნივერსიტეტში ხორციელდება ყველა ის საგანმანათლებლო პროგრამა რომელიც უშუალოდ უნივერსიტეტის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარეობს.

21. უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4%-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 28,6%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 71,4%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 28,6%-მა. უნივერსიტეტის საზღვაგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი აქტიურადაა ჩართული უცხოეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის პროცესში, სტუდენტებისთვისაც ეს ინფორმაცია გამჭვირვალეა და ადასტურებენ.

22. უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა.
- ვეთანხმები უპასუხა, 42,9%-მა.
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები

კითხვაზე: უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა. 2021 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის ERASMUS+ -ის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტში: Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian“, პროექტის მენეჯერი და მონაწილეები არიან, უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/ ადმინისტრაციული პერსონალი, დოქტორანტები. უნივერსიტეტში ყოველი სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ტარდება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციები. უნივერსიტეტის ინიცირებით ჩატადა არაერთი

საერთაშორისო კონფერენცია/სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობდა საუნივერსიტეტო საზოგადოება.

23. შეაფასეთ რამდენად საკმარისია სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობა კვლევის პროცესის დაგეგმვასა და შესრულებაში?

- სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა.
- ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა.
- ნაწილობრივ

კითხვაზე: შეაფასეთ რამდენად საკმარისია სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობა კვლევის პროცესის დაგეგმვასა და შესრულებაში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - სრულიად ვეთანხმები, უპასუხა 57,1%-მა, ვეთანხმები, უპასუხა 42,9%-მა. სამეცნიერო ხელმძღვანელების ერთერთი ძირითადი მოვალეობაა დოქტორანტის კონსულტირება სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის ეფექტიანად შესრულების საკითხებში. აღნიშნულ საკითხს აკადემიურად ასრულებენ სამეცნიერო ხელმძღვანელები და ეს დოქტორანტების მიერ ხელმძღვანელის შეფასებაშიც აისახა.

24. რა პერიოდულობით (სიხშირით) გიხდებათ კომუნიკაცია სამეცნიერო ხელმძღვანელთან?

- ძალიან აქტიურად, უპასუხა 57,1%-მა.
- თვეში რამდენჯერმე, უპასუხა 28,6%-მა.
- თვეში ერთხელ უპასუხა, 14,3%-მა.
- რამდენიმე თვეში ერთხელ

კითხვაზე: რა პერიოდულობით (სიხშირით) გიხდებათ კომუნიკაცია სამეცნიერო ხელმძღვანელთან? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - ძალიან აქტიურად, უპასუხა 57,1%-მა, თვეში რამდენჯერმე, უპასუხა 28,6%-მა, თვეში ერთხელ, უპასუხა 14,3%-მა. სამეცნიერო ხელმძღვანელების ერთერთი ძირითადი მოვალეობაა დოქტორანტის კონსულტირება სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის ეფექტიანად შესრულების საკითხებში. აღნიშნულ საკითხთან კონსულტაციების დრო, ალბათ, დამოკიდებულია საკვლევი თემის შინაარსზე, სირთულეზე და დოქტორანტების საჭიროებებზე.

25. სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის რომელი ფორმა მიგაჩნიათ უფრო მოხერხებულად?

- პირისპირ კომუნიკაცია, უპასუხა 42,9%-მა.
- ელექტრონული პლატფორმით, დისტანციური კომუნიკაცია, უპასუხა 28,6%-მა.
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით, უპასუხა 28,6%-მა.

კითხვაზე: სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის რომელი ფორმა მიგაჩნიათ უფრო მოხერხებულად? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - პირისპირ კომუნიკაცია უპასუხა 42,9%-მა, ელექტრონული პლატფორმით, დისტანციური კომუნიკაცია უპასუხა 28,6%-მა,

ელექტრონული ფოსტის საშუალებით უპასუხა 28,6%-მა. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის კომუნიკაცია ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი ფორმით მისაღება, მთავარია დოქტორანტმა მიიღოს მისთვის საჭირო კონსულტაცია და ინფორმაცია სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.

26. რა საკითხებთან დაკავშირებით გიწევთ კონსულტაცია სამეცნიერო ხელმძღვანელი?

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, უპასუხა 28,6%-მა.
- კვლევითი კომპონენტის განსაზღვრა, უპასუხა 71,4%-მა.
- სადისერტაციო ნაშრომის თემატური და ფორმალური დეტალების განსაზღვრა, უპასუხა 100%-მა.
- სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, უპასუხა 57,1%-მა.
- ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობა, უპასუხა 28,6%-მა.
- ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში/ფორუმებში მონაწილეობა, უპასუხა 42,9%-მა.
- მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში ნაშრომის გამოქვეყნება, უპასუხა 42,9%-მა.
- ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით
- და სხვ.

კითხვაზე: რა საკითხებთან დაკავშირებით გიწევთ კონსულტაცია სამეცნიერო ხელმძღვანელი?

კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა უპასუხა 28,6 %-მა, კვლევითი კომპონენტის განსაზღვრა უპასუხა 71,4%-მა, სადისერტაციო ნაშრომის თემატური და ფორმალური დეტალების განსაზღვრა უპასუხა 100%-მა, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება უპასუხა 57,1%-მა, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობა უპასუხა 28,6%-მა, ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში/ფორუმებში მონაწილეობა უპასუხა 42,9%-მა, მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში ნაშრომის გამოქვეყნება უპასუხა 42,9%-მა. დოქტორანტების მხრიდან იკვეთება აქტიური კომუნიკაცია სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, რაც ცალსახად მისასალმებელია.

27. როგორ შეაფასებდით თქვენს თანამშრომლობას სამეცნიერო თანახელმძღვანელთან?

- საკმაოდ წარმატებული უპასუხა 80%-მა.
- მეტწილად წარმატებული უპასუხა 20%-მა.
- მეტ-ნაკლებად წარმატებული

კითხვაზე: როგორ შეაფასებდით თქვენს თანამშრომლობას სამეცნიერო თანახელმძღვანელთან?

კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - საკმაოდ წარმატებული უპასუხა 80%-მა, მეტწილად წარმატებული უპასუხა 20%-მა. სამეცნიერო ხელმძღვანელები თითოეული დოქტორანტის მიერ შეფასდნენ დადებითად.

28. სადისერტაციო თემის ირგვლივ კონსულტაციებზე სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი დრო საკმარისია?

- დიახ უპასუხა 71,4%-მა.
- მეტწილად უპასუხა 28,6 %-მა.
- ნაწილობრივ

კითხვაზე: სადისერტაციო თემის ირგვლივ კონსულტაციებზე სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი დრო საკმარისია? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ უპასუხა 71,4%-მა, მეტწილად უპასუხა 28,6%-მა. როგორც გამოიკვეთა სადისერტაციო თემის ირგვლივ კონსულტაციებზე სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი დრო საკმარისია. თუმცა, დოქტორანტები არ იზღუდებიან ხელმძღვანელთან თანამშრომლობის ლიმიტირებული დროით, რისთვისაც ხელმძღვანელებიც გამოხატავენ მზაობას. აღნიშნულ საკითხს უნივერსიტეტის შინაგანაწესიც არეგულირებს: ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე ჯამურად აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტის ხელმძღვანელობა.

29. კვლევის პროცესის დაგეგმვასა და შესრულებაში სამეცნიერო ხელმძღვანელის კომპეტენცია აკადემიურია?

- დიახ, უპასუხა 100%-მა.
- მეტწილად
- ნაწილობრივ

კითხვაზე: კვლევის პროცესის დაგეგმვასა და შესრულებაში სამეცნიერო ხელმძღვანელის კომპეტენცია აკადემიურია? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 100%-მა. ეს პასუხი აბსოლუტურად შესაბამისობაშია სამეცნიერო ხელმძღვანელის მოვალეობებთან და მათ მიერ საკითხის შესულების აკადემიურობასთან, რადგან თითოეული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში გაწერილია, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სფეროში უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება (გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ნაშრომები); აგრეთვე, სამეცნიერო ხელმძღვანელი ზედამხედველობას უნდა უწევდეს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შესრულებას, ხელი შეუწყოს დოქტორანტს საკვლევი თემის დამოუკიდებლად დამუშავებაში, საქმიანობის ეფექტურ განხორციელებასა და სხვ. სწორედ ამ პრინციპით ხდება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების დანიშვნა დოქტორანტის სურვილის შესაბამისად.

30. მასალის მოძიება და მისი სისტემატიზაცია ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა?

- დიახ უპასუხა 57,1%-მა.
- მეტწილად უპასუხა 28,6%-მა.

- ნაწილობრივ უპასუხა 14,3%-მა.

კითხვაზე: მასალის მოძიება და მისი სისტემატიზაცია ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 57,1%-მა, მეტწილად, უპასუხა 28,6%-მა, ნაწილობრივ, უპასუხა 14,3%-მა.

31. სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ სემინარის მომზადებაში?

- დიახ უპასუხა 57,1%-მა.
- მეტწილად უპასუხა 28,6%-მა.
- ნაწილობრივ უპასუხა 14,3%-მა.

კითხვაზე: სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ სემინარის მომზადებაში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 57,1%-მა, მეტწილად, უპასუხა 28,6%-მა, ნაწილობრივ, უპასუხა 14,3%-მა. დოქტორანტის მიერ კვალიფიციურად მომზადებული სადოქტორო სემინარით დაინტერესებულია თვითონ სამეცნიერო ხელმძღვანელი, რადგან სემინარის ერთ-ერთი შემფასებელი თვითონ სამეცნიერო ხელმძღვანელია. აგრეთვე სემინარის შესრულებისას დოქტორანტს მნიშვნელოვანი მოცულობის კრედიტი აქვს მოსაპოვებელი.

32. სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაში?

- დიახ, უპასუხა 71,4%-მა.
- მეტწილად, უპასუხა 14,3%-მა.
- ნაწილობრივ, უპასუხა 14,3%-მა.

კითხვაზე: სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 71,4%-მა, მეტწილად, უპასუხა 14,3%-მა, ნაწილობრივ, უპასუხა 14,3%-მა.

33. სამეცნიერო ხელმძღვანელმა უზრუნველყო თქვენი ჩართულობა პროფესორის ასისტენტობაში?

- დიახ უპასუხა 85,7%-მა.
- მეტწილად უპასუხა 14,3%-მა.
- ნაწილობრივ

კითხვაზე: სამეცნიერო ხელმძღვანელმა უზრუნველყო თქვენი ჩართულობა პროფესორის ასისტენტობაში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 85,7%-მა, მეტწილად, უპასუხა 14,3%-მა. უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდა თაობების მომავალ პედაგოგებად სრულყოფის პროცესზე. დოქტორანტისთვის პროფესორის ასისტენტობის სწორად და კვალიფიციურად ჩატარება, ერთი მხრივ ემსახურება სასწავლო

კომპონენტით განსაზღვრული კრედიტის მოპოვებას, მეორე მხრივ, მისგან უნივერსიტეტის პედაგოგიური კადრის სრულყოფას, რადგან დოქტორანტების ძირითადი დამსამქბელი თვითონ უნივერსიტეტია.

34. სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ ინტერნაციონალიზაციის (გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის) პროცესში

- დიახ უპასუხა 42,9%-მა.
- მეტწილად უპასუხა 42,9%-მა.
- ნაწილობრივ უპასუხა 14,3%-მა.

35. კითხვაზე: სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ ინტერნაციონალიზაციის (გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის) პროცესში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 85,7%-მა, მეტწილად, უპასუხა 14,3%-მა. სასურველია, შინაარსის სრულყოფისთვის, პასუხების შესაბამისად ჩანდეს კომენტარებიც.

36. რა ცვლილებას შეიტანდით პროგრამის განვითარების მიზნით?

კვლევაში მონაწილე დოქტორანტებმა, აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით დაფიქსირეს შემდეგი მოსაზრებები (კომენტარები გადმოტანილია უცვლელად):

• გაცვლითი პროგრამების მოძიების და მასში ჩარულობის ხელშეწყობა იქნებოდა პროგრამის განვითარებისთვის კარგი.

- ანალოგიურ კითხვაზე: სამეცნიერო ხელმძღვანელი დაგეხმარათ ინტერნაციონალიზაციის (გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის) პროცესში? კვლევაში მონაწილე დოქტორანტებიდან - დიახ, უპასუხა 85,7%-მა, მეტწილად, უპასუხა 14,3%-მა.

• უფრო მეტ დროს დავუთმობდი უცხო ენის სწავლებას სპეციფიკური მიმართულებით, ვგულისხმობ ტერმინოლოგიას და ა.შ.

- საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად). კონკურსანტისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი უცხოური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა უცხოური ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. სტუდენტებს დოქტორანტურაში სწავლება/სწავლის პერიოდში უხდებათ უამრავი უცხოენოვანი მასალის დამუშავება. ვფიქრობ უცხოური ენის კომპეტენციის ასამაღლებლად მათ ინდივიდუალურად უნდა იმუშაონ.

• ვისურვებდი მეტ კომუნიკაციას და დასწრებულ შეხვედრებს ლექტორებთან.

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, მათი დაცვით, შესაძლებელია ლექტორებთან კომუნიკაცია პირისპირ რეჟიმში.

დასკვნები:

1. გასულ წლებში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული დოქტორანტების კმაყოფილების კვლევაში შედარებით მეტმა დოქტორანტმა მიიღო მონაწილეობა.
2. სტუდენტთა მიერ პროგრამითა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობით კმაყოფილების კვლევის ანალიზმა გამოკვეთა:
 - ა) დოქტორანტები კარგად იცნობენ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურას, სწავლის მიზნებსა და შედეგებს, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს.
 - ბ) აქტიური კომუნიკაცია აქვთ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და ეტაპობრივად ასრულებენ პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს.
 - გ) დოქტორანტები კმაყოფილები არიან სამეცნიერო ხელმძღვანელებთან მუშაობით.
3. კვლევამ გამოკვეთა ზემოთ აღწერილი რამდენიმე ძლიერი მხარე;
4. გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება გაადვილდებოდა უფრო მეტი დოქტორანტის ჩართულობით კვლევაში, თუმცა ერთ-ერთი გასაუმჯობესებელი მხარეა დოქტორანტების აქტიური ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევებში.
5. კვლევის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი მიგნებების, ანალიზისა და დასკვნების გაცნობა სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებისათვის შემდგომი რეაგირებისათვის, უკუკავშირის მისაღებად.

შენიშვნა: კვლევის შედეგების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში;